პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 1 (396)

1974 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (396) იანვარი 1974 წელი

## შინაარსი


### განყოფილება პირველი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. შენგელიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.
6. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. გ. ბე[illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. თაკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. პ. მ. ქლენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ზ. ფირალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. გ. ი. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. გ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ თ. ნ. ვახვახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ნ. ი. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ი. ა. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მესამე მუსიკალური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ა. ცომაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. არღუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. კ. გურულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ს. გორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესხაებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრზეიდიუმისა ამხ. ქ. ა. პეტროსიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას რესპუბლიკური დაქვემდებარების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 3 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 2 ამხ. გ. ს. შენგელიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გივი სერაფიონის ძე **შენგელია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 3 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 3 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 252-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 252. ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადება ან გასაღება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა ან შენახვა მნიშვნელოვანი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, ქონების და ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების და ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა კონფისკაციით".

2. $8^1$ მუხლში (სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)" შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილი)".

3. მე-12 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)" შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)".

4. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)" შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)".

5. $54^1$ მუხლის მესამე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი $252^1$)" შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი $252^1$)".

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი 252[1])“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი 252[1])“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1974 წლის 10 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 4 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 10 იანვრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში სიტყვები „252-ე I და III ნაწ.“ შეიცვალოს სიტყვებით „252-ე III და IV ნაწ.“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 5 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილ უთანხმოებათა გადაჭრის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულების და „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 და 42-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 31 ოქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დაემატოს მე-6 მუხლს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„ვიდრე წარადგენდნენ სარჩელს, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციათა შორის ურთიერთობიდან, სავალდებულოა პრეტენზიის წარდგენა. ამ წესიდან გამონაკლისს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

2. 160-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ხელშეკრულების დადების დროს წარმოიშობა უთანხმოება, რომელიც უნდა გადაჭრას სასამართლომ, არბიტრაჟმა ან სამედიატორო სასამართლომ (ამ კოდექსის 162-ე მუხლი)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 24 იანვარი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**6** **„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანებულების მოქმედება ვრცელდება შრომისუნარიან პირებზე — 18 წლის ასაკიდან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებსა და 55 წლამდე ასაკის ქალებზე, რომლებიც ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი დროის (3 თვეზე მეტი) განმავლობაში და თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას“.

2. დაემატოს დადგენილებას შემდეგი შინაარსის მე-$2^1$ პუნქტი:

„$2^1$. ამ ბრძანებულების მე-2 მუხლი გამოიყენება როგორც იმ პირთა მიმართ, რომლებიც სამუშაოდ არ მოწყობილან შინაგან საქმეთა ორგანოების ოფიციალური გაფრთხილების შემდეგაც, ისე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ასეთი გაფრთხილების შემდეგ დაიწყეს მუშაობა, მაგრამ სამუშაოს საპატიო მიზეზის გარეშე დაანებეს თავი მუშაობის დაწყებიდან 6 თვის გასვლამდე და 15 დღის განმავლობაში არ მოწყობილან ახალ სამუშაოზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 იანვარი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 7 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხაშური-ზესტაფონის საუღელტეხილო უბანზე რკინიგზის მეორე ლიანდაგის ასამოქმედებლად გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:**

1. გიორგი იოსების ძე **ბერეჟიანს** — ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის სამსახურის მთავარ ინჟინერს.
2. დიმიტრი ვალენტინის ძე **დმიტრიევს** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების მთავარ სპეციალისტს.
3. ნიკოლოზ დიმიტრის ძე **ლორთქიფანიძეს** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების უფროსს.
4. ლეონ იულიანის ძე **მგალობლიშვილს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის უფროსის მოადგილეს.
5. პავლე ლავრენტის ძე **ფერაძეს** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების პროექტის მთავარ ინჟინერს.
6. ჯუგა ისაკის ძე **სიხარულიძეს**—ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველს.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ისმაილ მიხეილის ძე **ცეცაძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს.

8. ალექსანდრე ისაკის ძე **ცირულნიკოვს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მთავარ ინჟინერს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:**

1. დაზმირ ივანეს ძე **ბერიძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ბრიგადირს.

2. რევაზ აპოლონის ძე **გოგელიას** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის სანტექნიკოსს.

3. პეტრე გიორგის ძე გოქაძეს — „„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანს.

4. ავთანდილ ტარასის ძე **გუდაძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ბრიგადირს.

5. ნიკოლოზ ნიკიტა ძე **ვალენიუკს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გაზშემდუღებელს.

6. დომნა მირონის ასულ **ზატოლიუკს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მებათქაშეს.

7. ელიშ ანდრიას ძე **კარაპეტიანს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მებეტონეს.

8. თენგიზ არსენის ძე **კახელს** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის მძღოლს.

9. გიორგი დიმიტრის ძე **კობესაშვილს** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის ბრიგადირს.

10. გივი დავითის ძე **მანჯავიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის ხაშურის დისტანციის უფროს ინჟინერს.

11. კლავდია გრიგოლის ასულ **მერკულოვას** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის ლაბორატორიის გამგეს.

12. გიორგი ივანეს ძე **მიროვს** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „იუჟტრანსტექმონტაჟის“ № 22 სპეციალიზებული მატარებლის ბრიგადირს.

13. ვიქტორ დავითის ძე **მჭედლიძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მეარმატურეს.

14. ვლადიმერ სოლომონის ძე **მხითარიანს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის საწარმოო დაწესებულებათა კომბინატის ბრიგადირს.

15. ივანე სტეფანეს ძე **სავიშჩენკოს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 243 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ზეინკალს.

16. გიორგი ვლადიმერის ძე **ჩიტაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის უბნის საკონტაქტო ქსელის წრფის დისტანციის მონტიორს.

17. აბესალომ შალვას ძე **ცხადაძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო აღდგენითი მატარებლის ზეინკალს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 24 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 8 ამხ. ბ. გ. ბეკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე ამხ. ბორის გრიგოლის ძე **ბეკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 2 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 9 ამხ. ბ. ი. იაკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი ამხ. გაიოზ ილიას ძე **იაკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 2 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 10 პროფ. პ. მ. ულენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი პეტრე მაქსიმეს ძე **ულენტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 2 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 11 ამხ. ა. ზ. ფირალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, პარტიის წევრი 1917 წლიდან პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ზაქარიას ძე **ფირალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 2 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 12 პროფ. გ. ი. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი გიორგი იოსების ძე **ყანჩაველი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 2 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 13 პროფ. გ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი გრიგოლის ძე **გველესიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 14 კომპოზიტორ თ. ნ. ვახვახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი თამარ ნიკოლოზის ასული **ვახვახიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი 1974 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 15 პროფ. ნ. ი. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ნიკოლოზ ივანეს ძე **სტურუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი 1974 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 16 ამხ. ბ. ე. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განათლების დარგსა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი ამხ. ბენიამინ ევგრაფის ძე **დალაქიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 8 **იანვარი.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 17 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ი. ა. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახა-

ეროვნული

ლხო არტისტი ირინა ალექსანდრეს ასული ალექსიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 18 მ. ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მესამე მუსიკალური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების კადრების მომზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მ. ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მესამე მუსიკალური სასწავლებელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 19 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ა. ცომაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი ნადეჟდა ათანასეს ასული ცომაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 20 ამხ. მ. მ. არლუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ პროკურორი ამხ. მეჯით მუსტაფას ძე **არლუნი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.
თბილისი, 1974 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 21 ამხ. კ. კ. გურულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კონსტანტინე კალისტრატეს ძე **გურული** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.
თბილისი, 1974 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 22 ამხ. ვ. ს. აბზიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. ვლადიმერ სარდიონის ძე **აბზიანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.
თბილისი, 1974 წლის 22 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 23 ამხ. დ. ს. გორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. დავით სერგოს ძე გორგაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 24 ამხ. კ. ა. პეტროსიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. კონსტანტინე არტემის ძე პეტროსიანი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 25 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხაშური-ზესტაფონის საუღელტეხილო უბანზე რკინიგზის მეორე ლიანდაგის ასამოქმედებლად გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. მიხეილ ელეფთერის ძე **აბესაძე** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის" განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2. გურამ ნიკოლოზის ძე **ბერუჩაშვილი** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

3. ომარ ვარლამის ძე **ბლუაშვილი** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის მებეტონე.

4. ანდრია დიმიტრის ძე **ბონდარენკო** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსიგნალმშენის" № 9 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი.

5. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ჟუჟუნაძე** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო აღდგენითი მატარებლის უფროსი.

6. შოთა ვარდენის ძე **კალანდაძე** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ტრანსვზრივპრომის" № 78 სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

7. ჯემალ დავითის ძე **კიკნაძე** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „იუჟტრანსტექმონტაჟის" სპეციალიზებული მატარებლის უფროსი ოსტატი.

8. არჩილ თევდორეს ძე **ლურსმანაშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მონტიორი.

9. ვაჟა შალვას ძე **ნოზაძე** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის შოფერი.

10. გალინა პანტელეის ასული **სავოხინა** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის მებეტონე.

11. ვასილ ივანეს ძე **სელიხოვი** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „იუჟტრანსტექმონტაჟის" სპეციალიზებული მატარებლის უფროსი.

12. ვარლამ ისლამის ძე **უგრეხელიძე** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის" ექსპედიციის უფროსი.

13. მიხეილ სიმონის ძე **ფირცხალაიშვილი** — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის" პროექტის მთავარი ინჟინერი.

14. დიმიტრი ეგორის ძე **ქოქაშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

15. ნუგზარ ნიკოლოზის ძე **ქურდაძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის ხაშურის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი.

16. თენგიზ ლევანტის ძე **შველიძე** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის ხარატი.

17. აიანტ ერასტის ძე **ჭყოიძე** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. აკაკი არჩილის ძე **ხაჩიძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალური ნავთობსადენი სამმართველოს ნავთობგადასატუმბავი სადგურის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 24 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 24 იანვრის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1973 წლის შედეგები და აღნიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ, საანგარიშო პერიოდში არსებითად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი რაიონებსა და ქალაქებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით საბჭოები თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებდნენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს: ეწყობოდა დეპუტატთა შეკრებები, მუდმივი კომისიების სხდომები, საბჭოების თავმჯდომარეთა და მდივანთა თათბირ-სემინარები, დეპუტატების დღეები.

ამაღლდა საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადებისა და ჩატარების დონე. სესიებსა და სხდომებზე უფრო სისტემატურად იხილავენ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სოციალისტური კანონიერების დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების და სხვა აქტუალურ საკითხებს; მათ მომზადებასა და განხილვაში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საანგარიშო პერიოდში სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 27.647 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 56,3 პროცენტმა. საბჭოების პირველ სესიებზე განიხილეს და დაამტკიცეს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმები. ბევრ რაიონსა და ქალაქში დიდი მუშაობა ჩატარდა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

27.903 განაწესიდან უკვე შესრულებულია 14.722, ანუ 52,8 პროცენტი. შესრულებული განაწესების უმრავლესობა ეხება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების დარგის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უკეთ ეხმარებიან დეპუტატებს მათ მოვალეობათა შესრულებაში — უზრუნველყოფენ საჭირო მასალებით, აცნობენ აღმასკომების და სესიების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს და მათი შესრულების მიმდინარეობას.

გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაცია. გასულ წელს ადგილობრივი საბჭოს 49.053 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 47.924 დეპუტატმა, ანუ 97,7 პროცენტმა. გორის, რუსთავის და ფოთის საქალაქო, ადიგენის, ახალციხის, ხაშურის, კასპის, გორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გურჯაანის, ყვარლის, ზესტაფონის, ვანის, მახარაძის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებში ადგილობრივი საბჭოების თითქმის ყველა დეპუტატმა ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს.

დეპუტატები უფრო ხშირად ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს, აცნობენ მათ საბჭოების გადაწყვეტილებებს, მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ოჯახური კონფლიქტებისა და მეზობელთა დავის მოგვარებაში, მშრომელთა წერილების, საჩივრების განხილვაში და სხვ.

მეტი ყურადღება ექცევა საბჭოების მუშაობის საჯაროობას, მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით გამოსვლას. 1973 წელს 995 აღმასკომმა (90,3 პროცენტი) და აღმასკომების 702 განყოფილებამ და სამმართველომ (73,8 პროცენტი) თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას, ხოლო სესიებს ანგარიში ჩააბარა 1089 აღმასკომმა (98,9 პროცენტი).

აღმასკომების უმრავლესობა საჭირო დახმარებას და კოორდინაციას უწევს მუდმივი კომისიების საქმიანობას. ბევრი კომისია აქტიურად მონაწილეობს სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადებაში, გამოდის სესიებზე მოხსენებით, თანამოხსენებით და ანგარიშით თავისი საქმიანობის შესახებ.

1973 წელს ადგილობრივი საბჭოს 6851 მუდმივი კომისიიდან სესიაზე მოხსენებითა და თანამოხსენებით გამოვიდა 5955 კომისია. მათ სესიების განსახილველად მოამზადეს 6842 საკითხი, ხოლო აღმასკომის სხდომისათვის 18545 საკითხი. 2056 კომისიამ თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა შესაბამისი საბჭოს სესიას.

ამასთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან საბჭოების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების დადგენილებებიდან.

ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციულ მუშაობას არ უკავშირებს რაიონის, ქალაქის, სოფლის, დაბის წინაშე მდგარ სამეურნეო ამოცანებს, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას. ნაკლებად ზრუნავს არსებული რეზერვების გამოვლენის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის; გვერდს უვლის სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტებს, საჭირო ინიციატივას არ იჩენს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის და მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ზემოაღნიშნული დარღვევებისათვის რესპუბლიკის 62 საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გათავისუფლებულია სამუშაოდან (ორჯონიკიძის, გარდაბნის, ზესტაფონის, აბაშის, ყვარლის, ქარელის, გეგეჭკორის და სხვ. რაიონები).

ცალკეულ შემთხვევებში საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში სესიების მოწვევას, სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში დეპუტატების, მუდმივი კომისიების და სპეციალისტების აქტიურ მონაწილეობას, მათ მიერ სესიებისა და მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარებას.

საბჭოს სესიებზე დეპუტატები ყოველთვის არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საკითხების განხილვაში.

რიგი აღმასკომი არასაკმარისი ყურადღებით ეკიდება დეპუტატებთან მუშაობის საკითხებს—არ არის ცალკე გამოყოფილი და სათანადოდ მოწყობილი დეპუტატის ოთახი ან კუთხე, დეპუტატებს არ აწვდის საცნობარო მასალას საბჭოსა და აღმასკომის მუშაობის თაობაზე. ამის შედეგია, რომ დეპუტატების გარკვეული ნაწილი ვერ აბარებს ანგარიშს თავიანთ ამომრჩევლებს.

საანგარიშო პერიოდში 49053 დეპუტატიდან ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 1129 დეპუტატს, ანუ მთელი შემადგენლობის 2,3 პროცენტს.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები ჯგუფურად აბარებენ ანგარიშს თავიანთ ამომრჩევლებს (ბოლნისის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, საჩხერის, წითელწყაროს და სხვა რაიონები).

აღმასკომების ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე. ბოლნისის რაიონულ და სასოფლო საბჭოებს, მარნეულის და წალკის რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოს საერთოდ არ განუხილავს და არ დაუმტკიცებია ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმა.

არის რაიონები, სადაც დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევის შესახებ. მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობიდან გასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების ნაცვლად არჩევნები არ ჩატარებულა 78 ოლქში, აქედან 4 ოლქში გასულია ორ თვეზე მეტი (ასპინძის და თეთრიწყაროს რაიონები).

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა ბევრი სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობა, მაგრამ რიგ შემთხვევაში მათ ნაცვლად არჩეულ იქნენ არადეპუტატები.

ნაკლოვანებებია სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა შერჩევის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სესიების ჩატარებიდან დიდი დრო არ გასულა, 975 სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომიდან უკვე შეიცვალა 66 თავმჯდომარე, 27 თავმჯდომარის მოადგილე და 41 მდივანი.

ზოგიერთი მუდმივი კომისია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, სათანადო კონტროლს არ უწევს საბჭოებისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, იშვიათად შეაქვს საკითხები საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების განსახილველად. გასულ წელს თბილისის პირველი მაისის რაიონული საბჭოს მრეწველობის და ახალგაზრდობის საქმეთა, კიროვის რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ვანის რაიონული საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კასპის რაიონული საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ადიგენის, ლანჩხუთის და წალკის რაიონული საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის და არ გამოსულან სესიებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებითა და კანონებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ. სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები. აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს მე-9 ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების და სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას;

ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის კანონით დადგენილი ვადები, აამაღლონ მათი ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების დონე, სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. ამასთან სესიებზე რეგულარულად გამოვიდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციით აღმასკომების მუშაობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები სისტემატურად უკეთებდნენ ინფორმაციას თავიანთ ამომრჩევლებს სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ და იღებდნენ ზომებს მათ შესასრულებლად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, შრომისადმი მუშების, კოლმეურნეების და მოსამსახურეთა შეგნებულ დამოკიდებულებას, წარსულის მავნე გადმონაშთების, ლოთობის გამომწვევი მიზეზების, ქელეხების, რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ ბრძოლას;

ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატებს მათ მოვალეობათა შესრულებაში. ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების უკეთ ორგანიზაციის მიზნით დროულად მიაწოდონ დეპუტატებს საცნობარო მასალა საბჭოების და აღმასკომების მუშაობის შესახებ, შეარჩიონ სათანადო შენობები ამომრჩეველთა კრებების ჩასატარებლად და სხვ.

მიიღონ ზომები განაწესების, აგრეთვე საანგარიშო კრებებზე და დეპუტატებთან სხვა შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების დროულად განხილვისა და შესრულებისათვის.

მეტი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს. სისტემატურად გააცნონ ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი დადგენილებები, აგრეთვე თავიანთი გადაწყვეტილებები და სამუშაო გეგმები.

მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების საქმიანობაში, რაიონის, ქალაქის წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში.

მეტი დახმარება გაუწიონ ქვემდგომ საბჭოებს და უზრუნველყონ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება, პერიოდულად მოიწვიონ აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირ-სემინარები საბჭოების მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე, ხოლო მიმდინარე წლის თებერვალში ჩაატარონ აღმასკომების თავმჯდომარეების, მდივნების, მუდმივი კომისიების ზონალური თათბირ-სემინარი, სადაც გააანალიზონ გაწეული ორგმასიური მუშაობა და დასახონ ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას დაევალა მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა ამ მიმართულებით გასწიეს გარკვეული მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ და იხილავენ აღნიშნული კანონმდებლობის შესრულების მიმდინარეობას; სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ დავას ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების შესახებ; შინაგან საქმეთა ორგანოებმა გააუმჯობესეს ალიმენტის გადახდისათვის თავისამრიდებელ პირთა ძებნა, გაძლიერდა საპროკურორო ზედამხედველობა.

ამასთან ერთად, აღნიშნული კანონმდებლობის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სახალხო სასამართლო, გამოკვლევის ზერელედ ჩატარების შედეგად, არასწორად განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას ან გამოაქვს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (ქ. თბილისის ლენინის, კალინინისა და 26 კომისრის რაიონების, მარნეულის, საგარეჯოს და სხვა რაიონებისა და ქალაქების სახალხო სასამართლოები).

სახალხო სასამართლოები, ხშირად, წარმოებაში დაგვიანებით იღებენ სასასარჩელო განცხადებებს, სათანადოდ არ ამზადებენ საქმეებს გარჩევისათვის და იხილავენ მათ კანონით დადგენილი ვადების უხეში დარღვევით.

სახალხო სასამართლოებს სათანადო კონტროლი არ აქვთ დაწესებული სააღსრულებო წარმოებისადმი, რის გამოც აღმასრულებელი ფურცლები დანიშნულებისამებრ იგზავნება დიდი დაგვიანებით.

რიგი რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლო არ ამოწმებს წარმოება-დაწესებულებებში ალიმენტის დაკავების სისწორესა და მისი დანიშნულებისამებრ გადაგზავნის დროულობას; სათანადო რეაგირებას არ ახდენს კანონის მოთხოვნათა დარღვევაზე, მაშინ, როდესაც ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში უხეშად ირღვევა ალიმენტის და აღმასრულებელი ფურცლების გადაგზავნის დადგენილი ვადები (ენგურის ქაღალდის კომბინატი, საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილება, ქ. გორის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტი და სხვ.). ალიმენტის დაგვიანებით გაგზავნის შემთხვევებს ადგილი აქვს აგრეთვე შრომა-გასწორების კოლონიებშიც.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას, ხოლო მათი ძებნისათვის მილიციის ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ამის შედეგად, ალიმენტის გადახდისათვის ბოროტად თავის ამრიდებელ პირთა 35 პროცენტი დღემდე არ არის მოძებნილი.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებს სასამართლოები იშვიათად იხილავენ გამსვლელ სესიებზე, მათ განხილვაში არ უზრუნველყოფენ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობას; არ გამოაქვთ კერძო განჩინებები და ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას. სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ჯერ კიდევ ნაკლებად მონაწილეობენ მოსახლეობასა და წარმოება-დაწესებულებებში იმ საკითხების ახსნა-განმარტებაში, რომლებიც ეხება კანონმდებლობას ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ.

აღნიშნული კანონმდებლობის შესრულებაზე სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული იუსტიციის სამინისტროს. ნაკლოვანებებია საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების საქმეში. ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების მუშაკები იშვიათად გამოდიან სასამართლო პროცესებში და საჭიროების შემთხვევაში არ აყენებენ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც უგულებელყოფენ მოქმედ კანონებს ალიმენტის შესახებ.

რიგი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას, არ ამოწმებს და არ იხილავს აღნიშნულ საკითხებს აღმასკომის სხდომებზე, ამ საქმეში ფართოდ არ იზიდავს დეპუტატებს, საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს, აქტივსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გააძლიეროს შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისათვის სახალხო სასამართლოების მუშაობის კონტროლი, რისთვისაც:

მიიღოს ზომები სასამართლო ორგანოებში ალიმენტის საკითხებზე შემოსული სასარჩელო განცხადებების კანონით დადგენილ ვადებში სრულყოფილად განხილვისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გარჩევას მოპასუხის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილზე და მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობას;

გაზარდოს სახალხო მოსამართლეთა პასუხისმგებლობა ალიმენტის საკითხებზე მშრომელთა საჩივრების დროულად განხილვა-გადაწყვეტისათვის; ქმედითი ზომები მიიღოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ აღნიშნული კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით მოქალაქეთა საჩივრების განხილვის დადგენილ ვადებს;

აღმასრულებლებისადმი მომთხოვნელობისა და კონტროლის გაძლიერებით მიაღწიონ სასამართლო გადაწყვეტილებების კანონით დაწესებულ ვადებში

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღსრულებას, გაატარონ ღონისძიებანი რესპუბლიკაში საალსრულებო წარმოების სისტემის მოსაწესრიგებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ქმედითი ზომები მიიღოს ალიმენტის ურჩ გადამხდელთა ძებნისათვის; ამასთან მოაგვაროს შრომა-გასწორების დაწესებულებებში დაკავებული ალიმენტის დანიშნულებისამებრ დროულად გაგზავნის საქმე.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი მათდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულებებში ალიმენტის დაკავებასთან და გადაგზავნასთან დაკავშირებული კანონების ზუსტად შესრულებაზე; მიიღონ ზომები, რომ საწარმოებმა და დაწესებულებებმა შესაბამის სახალხო სასამართლოს დაუყოვნებლივ აცნობონ ალიმენტის გადამხდელის სამუშაოდან განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლის შესახებ.

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების წესის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ზუსტად განხორციელებაზე.

რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სერიოზული ყურადღება მიაქციონ ალიმენტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულებას. პერიოდულად მოისმინონ ადმინისტრაციული ორგანოების მოხსენებები ალიმენტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე, აგრეთვე სათანადო პასუხი მოსთხოვონ წარმოება-დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევენ ალიმენტის გადახდევინების დადგენილ წესს. ამ საქმეში უფრო მეტად ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად მოაწყონ გადაცემები და პრესის ფურცლებზე გააშუქონ საკითხი ულირსი მშობლების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ ბავშვებისათვის ალიმენტის გადახდას.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ სხდომაზე მოისმინა რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. ტაკიძის მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულებას „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ამ მიმართულებით გაწეულია გარკვეული მუშაობა.

1973 წლის 9 თვეში გამოვლენილი და შრომითი მოწყობის აუცილებლობის შესახებ გაფრთხილებული იყო 5.421 მოქალაქე, რომელთაგან შრომით საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობაში ჩაება 4.143, აქედან შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჩააბეს — 3289, ხოლო აღმასრულებელმა კომიტეტებმა — 854 კაცი.

ამასთან ერთად, ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც დგას საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

აღმასრულებელ კომიტეტებს დაწესებული არა აქვთ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ქმედითი კონტროლი, რის შედეგადაც სამუშაოდ გაგზავნილი მოქალაქენი, ხშირად, არ ცხადდებიან წარმოება-დაწესებულებებში, ანდა მოკლე ხანში თვითნებურად სტოვებენ სამუშაოს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხშირად არღვევენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებელ პირთა სამუშაოდ გაგზავნასთან დაკავშირებული მასალის განხილვის წესს, მათ შორის განხილვის დადგენილ 10-დღიან ვადას.

განხილვის ვადები უხეშადაა დარღვეული ბოლნისის, მარნეულის, ხაშურის და სოხუმის რაიონულ, რუსთავისა და ბათუმის საქალაქო და რიგ სხვა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

ზოგჯერ მასალის ზერელე შესწავლისა და ფორმალური განხილვის შედეგად აღმასკომების გადაწყვეტილებებით სამუშაოდ იგზავნებიან ისეთი მოქალაქენი, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა არ შეეხება (ინვალიდები, ქრონიკული ალკოჰოლიკები და სხვ.).

წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვან ზომებს არ იღებენ აღმასკომის გადაწყვეტილებით გაგზავნილ მოქალაქეთა სამუშაოზე დასამაგრებლად, არ არის ორგანიზებული მათთვის პროფესიების შესწავლა, არ ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. უფრო მეტიც. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი იძლევა ფიქტიურ ცნობებს ამ კატეგორიის მოქალაქეთა შრომითი მოწყობის თაობაზე და აღმასრულებელ კომიტეტს არც კი ატყობინებს ასეთ პირთა სამუშაოდან თვითნებური წასვლის შესახებ.

ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს სამტრედიის, ქარელის და მარნეულის რაიონებში, თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში და რიგ სხვა ქალაქსა და რაიონში.

აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებების იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან შრომითი მოწყობის შესახებ აღმასკომის გადაწყვეტილების შესრულებას. აღმასკომისა და საბჭოს სესიის განსახილველად იშვიათად შეაქვთ ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ამ საქმეში ნაკლებად აბამენ საბჭოების დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ მუქთახორა, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მისი განხორციელებისათვის;

უზრუნველყონ საბჭოების დეპუტატებისა და აქტივის, სათანადო კომისიების, ქუჩისა და უბნის კომიტეტების, სახალხო რაზმეულებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა მუქთახორების გამოვლენის, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის გაწევისათვის;

გააძლიერონ იმ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, სადაც სამუშაოდ იგზავნებიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებელი პირები, მოსთხოვონ ამ კატეგორიის მოქალაქეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და მათ მიერ სამუშაოს თვითნებურად მიტოვების შემთხვევაში შეტყობინების დროულად გაგზავნა;

პერიოდულად მოისმინონ შინაგან საქმეთა განყოფილების ანგარიშები მუქთახორა, პარაზიტული ელემენტების გამოვლენისა და მათი შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა დავალება განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მუქთახორა, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, სისტემატურად შეამოწმოს დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანოების მუშაობა ამ მიმართებით და მიიღოს ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გააძლიეროს ზედამხედველობა მუქთახორა, ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისათვის.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 24 იანვრის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებით და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 225 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 8 |
| ქ. რუსთავიდან | | 10 |
| ქ. ქუთაისიდან | | 7 |
| ქ. ჭიათურიდან | | 7 |
| ადიგენის | რაიონიდან | 5 |
| ბოგდანოვკის | „ | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| გარდაბნის | რაიონიდან . . . . . . . . | 38 |
| გორის | „ . . . . . . . . . . | 9 |
| თეთრი წყაროს | „ . . . . . . . . . . | 17 |
| თელავის | „ . . . . . . . . . . | 6 |
| თერჯოლის | „ . . . . . . . . . . | 5 |
| ლაგოდეხის | „ . . . . . . . . . . | 7 |
| მახარაძის | „ . . . . . . . . . . | 8 |
| მესტიის | „ . . . . . . . . . . | 21 |
| ორჯონიკიძის | „ . . . . . . . . . . | 4 |
| საჩხერის | „ . . . . . . . . . . | 12 |
| ყვარლის | „ . . . . . . . . . . | 9 |
| წალენჯიხის | „ . . . . . . . . . . | 11 |
| წალკის | „ . . . . . . . . . . | 13 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . . . . | 4 |
| წყალტუბოს | „ . . . . . . . . . . | 4 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . . . . . . | 5 |
| ხობის | „ . . . . . . . . . . | 4 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | . . . . . . . . . . . . | 4. |